საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 303-02
13/02/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი რეგიონალური კვლევითი ბაზების სასტუმრო მომსახურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, "სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების"_ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურის უფროსის 2018 წლის 5 თებერვლის და 2018 წლის 12 თებერვლის (რეგისტრ. №1736-35, №2181-35) სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განისაზღვროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტის, დაბა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის, გრიგოლეთის შავი ზღვის კვლევითი ცენტრის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი რეგიონალური კვლევითი ბაზების სასტუმრო მომსახურების ტარიფები დანართი №1-ის, დანართი №2 (დანართი №2 [1] და დანართი №2 [2]), დანართი №3, დანართი №4-ის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყველა წინამორბედი ბრძანება, რომელიც მიღებულ იქნა ამ ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ რეგიონალური კვლევითი ბაზების სასტუმრო მომსახურების ტარიფებთან და შეღავათებთან დაკავშირებით;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურის უფროსს (ნიკოლოზ თარაშვილი);
4. დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება;
5. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები მიაწოდოს: უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურს, უნივერსიტეტის რეგიონალური კვლევითი ბაზების ადმინისტრატორებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს;

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი